

გაზეთი ბეჭედი „ვერსია“ ერთი

ვერსია



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№24 (780) 4 - 5 მარტი, 2013 წელი

20 გვერდი 40 თემატი

ქანი კალამი: „სააკაშვილი საქართველოს ნოვარი პირველი ჯამბაზია!“



ვის ექანის პალსტრუნიან კრიმინალებს, რატომ ამოწებენ „ნაციონალები“ თაგვებს, რას პასუხობს პრეზიდენტს, დადგება თუ არა რაბათის გამომეჩინების პასუხისმგებლობის საკითხი და რატომ იტხოვს კუბლაშვილის იმპიჩმენტს ენერგეტიკის მინისტრი

3-4

ექსკლუზივი

მართლა შესთავაზა თუ არა სალომე ზურაბიშვილს ბიძინა ივანიშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრობა

როგორ უნდა გაუქლდეს ნაფიხ მსაჯულთა სასამართლოს პროცესები

სამართალი 10-11

„თუ მიშა მაგარი ბიჭია, ერთი ერთზე შემხვდეს და მიპასუხოს: რატომ ანამა ჩემი ოჯახის ნევრები?“ ემზადება თუ არა რევანშისტების შადვა ოგბაიძე



5

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების ვებერანები ირაკლი ალასანიასთან შეხვედრას იტხოვან

სასწაული საკანუნი როგორ გადაარჩინა ღვთისმშობლის ხაგმა ცუსალი თვითმკვლელობას „სმარტში“ ალკოჰოლურ სასმელს პროფესიონალი სომელიები შემოგთავაზებან!

პროპოკასია, როგელსას სააკაშვილი 21 აპრილამდე მოაწყობს



მანია მიხელაშვილი
593-51-90-12

„ინვესტიციები არ შეჩერებულა და ინვესტორების გაცილებით დიდი ინტერესია. ენერჯეტიკა ყველასთვის საინტერესო დარგია და უცხოელი ინვესტორებიც, ძირითადად, ენერჯეტიკული პროექტებით ინტერესდებიან. რამდენიმე დღის წინ, მსოფლიოში უძლიერესი კომპანია „ტატა ფუჯი“ წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსულნი. ისინი მალე დაასრულებენ მოლაპარაკებას „გრინ ენერჯისთან“, რომელსაც აჭარის წყლებზე 4 ჰესის მშენებლობა აქვს დაგეგმილი და მზადაა, 300 000 000 აშშ დოლარი ინვესტიცია ჩადოს. ამ პროექტების საერთო ღირებულება კი, 600 000 000-დან 700 000 000 აშშ დოლარამდეა“, — ასე პასუხობს „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ოპონენტების ბრალდებას, ქვეყანაში ინვესტიციები შეჩერდაო, საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, რომელთანაც საუბარი ცხელი პოლიტიკური თემით — პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ჩაშლილი შეხვედრით, არშემდგარი კოაბიტაციითა და რაბათის ციხესთან დაკავშირებული გაუგებრობით დავინწყე.

— ბატონო კახა, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა, მართლაც იმიტომ ჩაიშალა, რომ პრეზიდენტი „პაუზ-კაში“ გაემგზავრა?

— ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ვიცი, რა პიროვნებაა. საერთოდ, სააკაშვილი უპასუხისმგებლოდ იქცევა და მისი პოლიტიკა სიცრუესა და სიბინძურის პროპაგანდაზეა ანკობილი, ამიტომ შეთანხმება, რომელიც დავით უსუფაშვილსა და დავით ბაქრაძეს შორის შედგა და რომლის თანახმადაც, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის შეხვედრა 1 მარტს უნდა შემდგარიყო, ჩაიშალა...

— ამას წინათ, განაცხადეთ, რომ კოაბიტაციის პროცესს პესიმისტურად უყურებთ, რადგან „ნაციონალები“ არაადეკვატურად იქცევიან. თქვენი აზრით, ამის მიზეზი რა არის?

— ნაციონალური მოძრაობის ქმედებები იმას მაგონებს, კატა თავის კუთხეში რომ მიიმწყვდევს — „ნაციონალები“ ისე იქცევიან, თავის როლში არიან. კოაბიტაციის მიმართ პესიმისტურ განწყობას კი, 9 ნლის განმავლობაში, მათი ცხოვრება მიქმნის — „ნაციონალების“ ქცევა კანონს, ქართველი ხალხის, ქვეყნის ინტერესებს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება. წარმოუდგენელია, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკუთრივად, მოლაპარაკება ისეთ ადამიანთან გამართო, როგორც მიხეილ სააკაშვილია.

— იმის თქმა გინდათ, რომ „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის შეთანხმება ვერ შედგება?

— არაერთხელ გამოვხატეთ მზაობა, რომ შეთანხმებისთვის მზად ვართ. პირველივე დღეს, როდესაც ხელისუფლებაში მოვედით, პრეზიდენტის რეზიდენციაში სტუმრობის

ვის ექანის პალსტუხიან კრიმინალს, რაზომ აგონებენ „ნაციონალები“ თაგვებს, რას პასუხობს პრეზიდენტს, დადგება თუ არა რაბათის გამომეკრიმინალის პასუხისმგებლობის საკითხი და რაზომ იტხოვს კუბლაშვილის იმპიუმენტს ენერჯეტიკის მინისტრი



ქსი ქსი: „საკაშვილი საქართველოს ნომერი პირველი ჯაგაჯია!“

დროს, ბატონმა პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ისე მოვიქცევით, როგორც ამას ქართველი ხალხი, ქართული საზოგადოება იმსახურებს და არა ისე, როგორც ნაციონალური მოძრაობა იმსახურებსო. ამდენად, ჩვენი მხრიდან მზაობა იყო, რომ გარკვეული საკითხები გაგვევლო, რადგან ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, ქვეყნისა და ხალხის ინტერესია. ნაციონალურ მოძრაობასთან კოაბიტაცია რომ წარმოუდგენელია, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, ასე ვფიქრობ. იმ პოლიტიკური განცხადებებიდან გამომდინარე, რაც წლებია, განსაკუთრებით, ბოლო თვეების, კვირებისა და დღეების განმავლობაში მათგან მესმის, დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანებთან რამე საკითხზე საუბარი შესაძლებელი არაა.

— პრეზიდენტის ბოლო პრესკონფერენციის მთავარი თემა თქვენ იყავით — მიზანში ამოვიღოთ, მაგრამ ვიდრე დეტალებს დავაკონკრეტებთ, ბატონო კახა, მითხარით, სააკაშვილი რას გერჩით?

— არ ვიცი, უმჯობესია, სააკაშვილს ჰკითხოთ, მე კი, მის განცხადებებზე მეცინება იმიტომ, რომ პოლიტიკურად გაკოტრებული ადამიანია, რომელმაც თავისი ფუნქციები ამონურა და ვადაგასული პრეზიდენტია. ისე, ბოლო წლებში, თავისი ქმედებებიდან გამომდინარე, ჩემთვის პრეზიდენტი არ ყოფილა. დღეს კი,

თავისი ქმედებებით, სატელევიზიო განცხადებებითა და პრესკონფერენციებით სააკაშვილი საქართველოს ნომერი პირველი ჯაგაჯია!

— ამას იმიტომ ამბობთ, რომ პირდაპირ ეთერში, კომერციულ ბანკებთან დაკავშირებით, ურნალისტებს ეჭორავა?

— დიას, ნაციონალური მოძრაობის გეგმები სიცრუესა და დემაგოგიაზეა ანკობილი. ადრეც ასე იყო და ეს ახალი არაა, უბრალოდ, ახლა მეტი საშუალება გვაქვს — გასხილია ტელევიზიები, ურნალისტებს შესაძლებლობა აქვთ, თავისუფლად დაწერონ და ისაუბრონ იმაზე, რაც სინამდვილეში ხდება. განვილო 9 ნლის განმავლობაში კი, წინა ხელისუფლება, ჯიბის ტელევიზიების საშუალებით, იმ ბინძურ პროპაგანდას ატარებდა, რაც თვითონ სურდა.

— უკაცრავად, მაგრამ ვერ დავთანხმებთ, რადგან 9 ნლის განმავლობაში „ვერსიამ“ არაერთი მალალი თანამდებობის პირი ამხილა და არაერთი დარღვევა გამოავლინა. მეტიც, უფულავასთან დაკავშირებით, ისეთი ფაქტები დავდეთ და ეს თემა კიდევ გაგრძელდება, რომლებიც პროკურატურასაც გამოიჩინა.

— მხოლოდ ტელევიზიები ვიგულისხმე, რადგან გაზეთები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ობიექტურად აშუქებდნენ და სიმართლეს წერდნენ.

— უამრავი საქმეა გამოსაძიებელი, საზოგადოებაშიც სამართლიანობის აღდგენის

განცდა, მაგრამ პროკურატურის ბრალდება სასამართლოში აღარ დასტურდება ხოლმე. როგორ გგონიათ, რა ხდება?

— სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაწყებულია, მაგრამ პროკურატურის მუშაობის შედეგს კოტე კუბლაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის უპასუხისმგებლო სასამართლო აბათილებს და წყალში ყრის. ეს ადამიანები, პირდაპირი მნიშვნელობით, მომსხდრები არიან სამართალზე — მათთვის კანონი არ არსებობს და საკუთარ თავს კანონზე მაღლა აყენებენ. სასამართლო პირდაპირ სააკაშვილს ექვემდებარება, კუბლაშვილი კი, სააკაშვილის ყურმოჭრილი მონაა და იმას აკეთებს, რასაც სააკაშვილი დაავალბს. ეს პროცესი დღეს და გუშინ არ დაწყებულია, 9 ნლის განმავლობაში ასე ხდებოდა, მაგრამ დღეს განსხვავება ისაა, რომ თუ ამდენ ხანს ციხეში უდანაშაულო ადამიანებს შეითხინილი საქმეებით სვამდნენ, ახლა პირიქით ხდება — ვინც დამნაშავეა, იგივე უგულავა ან სხვა თანამდებობის პირი, სასამართლო ყოველგვარი პრობლემების გარეშე ათავისუფლებს, მაგრამ ხალხი ყველაფერს ხვდება და დარწმუნებული ვარ, სამართალი ძალიან მალე იხივებს.

— ესე იგი, სასამართლო გადაწყვეტილებები შეიცვლება. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ როგორც კი ამ თემაზე საუბარს იწყებთ, თქვენი ოპონენტები მაშინვე აცხადებენ, ხელისუფლება სასამართლოზე ზენოლას ახდენსო. დავიბენი და ველარ გავიგე, ვინ ახდენს სასამართლოზე ზენოლას?

— ჩემი აზრით, ყველაფერი მარტივადაა: კოტე კუბლაშვილის იმპიუმენტის საკითხი უნდა დადგეს, რომელიც კრიმინალია! სხვათა შორის, კრიმინალები მხოლოდ ისინი არ არიან, რომლებიც ქუჩაში დანაშაულს სჩადიან, ხალხს კლავენ და აუბედურებენ. ჩემი აზრით, ისინიც კრიმინალები არიან, რომლებიც უდანაშაულო ადამიანებს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ციხეში სვამდნენ. ახლა კი, როგორც გითხარით, სრულიად სხვა შემთხვევა გვაქვს — თანამდებობის პირებს, რომლებსაც ჰალსტუხიან კრიმინალებს ვეძახი და რომლებმაც ჯიბეები მოსახლეობის ხარჯზე გაისქევეს, სასამართლოდან ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ათავისუფლებენ.

— აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ ფინანსურ ამნისტიას, რომელსაც „ნაციონალები“ იტხოვენ, მხარს არ დაუჭერთ, არა?

— ესეც იმაზე მეტყველებს, რა აქვს გაკეთებული სააკაშვილის ხელისუფლებას. ეკონომიკური ამნისტიის გამოცხადება იმ ფულზე სურდათ, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან კრიმინალური მეთოდებით მოიპარეს და ამაზე თვალი უნდა დაგვეხუჭა?

დასასრული მე-4 გვერდზე



პატრიარქმა კომუნისტებისგან დავნილი მღვდელმსახურები დააჯილდოვა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილიამ მეორემ ის მღვდელმსახურები დააჯილდოვა. რომლებიც საბჭოთა კავშირის დროს შევინროებებს განიცდიდნენ.

ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი — წმინდა ნინოს ოქროს ორდენით დაჯილდოვდნენ: არქიმანდრიტი ანტონ ბულიაშვილი, დეკანოზი რევაზ ტყემალაძე, არქიმანდრიტი რაფაელ კარელიანი, დეკანოზი ლეონტი ჟვანია და არქიმანდრიტი სოკრატე ჯულუხაძე.

მიტრის ტარების უფლებით კი დაჯილდოვდნენ დეკანოზები ნიკოლოზ ჟურაბსკი, ზოსიმე ჭუმბურიძე და ლუკა ნითური. „მედიანიუსი“

ირაკლი ალასანიძე სააკაშვილს უარყვს, რეალობა კარგად გაიანჯროს



„მიხეილ სააკაშვილმა კარგად უნდა გაიანჯროს, რა რეალობა დადგა 1 ოქტომბრის შემდეგ“, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიძემ პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის შეხვედრის შეფასებისას განაცხადა.

მისი თქმით, კარგია, რომ შეხვედრა შედგება:

„ჩემი აზრით, მართლაც დროა, უმცირესობისა და ოპოზიციის ლიდერმა კარგად გაიანჯროს, რა რეალობა დადგა პირველი ოქტომბრის შემდეგ და მაქსიმალურად გააკეთოს თავად ყველაფერი, რომ საზოგადოებაში კონსოლიდაცია იყოს და ნორმალური და სტაბილური პოლიტიკური პროცესები წარიმართოს.“ „ინტერპრესნიუსი“

ვერაზე მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს



ვერაზე, საკუთარ სახლში, ახალგაზრდა მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. ამის შესახებ „ივერონს“ სახანძრო-სამაშველო სამსახურის მორიგემ აცნობა.

მისი თქმით, შემთხვევა თაყაიშვილის ქუჩაზე მოხდა. მომხდარის შესახებ, ინფორმაცია სამაშველო სამსახურს გარდაცვლილის დამ შეატყობინა. ადგილზე მისულ სამართალდამცველებს 40 წლის მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

წინასწარი ვერსიით, ახალგაზრდა მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. რა გახდა, მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, გამოიძიება დაადგენს. „ივერონი“

„თუ მიზა მამარი ბიჭია, ერთი ერთზე შეიხვდეს, თვალეზუი ჩამხედოს და მივასუხოს: რატომ ანამა ჩემი ოჯახის წევრები?“



რა ეფაპზეა 26 მაისის სპეცოპერაციის გამოძიება, ემზადება თუ არა რევანშისტვის და რა ინფორმაცია მიანოდა შადვა ოგბაიძემ მთავარ პროკურორს

რუსუდან შელია 557-100-768

დაკითხვის სურვილი გამოთქვა. აღნიშნულ სიაში ბადრი და ანზორ ბინძაძეებიც არიან. პარტიაში აცხადებენ, რომ შემსრულებლებთან ერთად, სპეცოპერაციის დამკვეთებიც უნდა დაისაჯონ და ე.წ. პოლიტიკურ ამნისტიაზე საუბარი წარმოუდგენელია. გამოძიების დეტალებზე „ვერსიას“ დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს მთავარი საბჭოს წევრი შალვა ოგბაიძე ესაუბრა.

2011 წლის 26 მაისის განვითარებული მოვლენების გამოძიება აქტიურ ფაზაში შედის — თითქმის ყველა მონმე, მათ შორის, ნინო ბურჯანაძე უკვე დაკითხულია. ამასთან, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა პროკურატურას დამატებით იმ 30 ადამიანის სია გადასცა, ვინც დაკითხვის სურვილი გამოთქვა. აღნიშნულ სიაში ბადრი და ანზორ ბინძაძეებიც არიან. პარტიაში აცხადებენ, რომ შემსრულებლებთან ერთად, სპეცოპერაციის დამკვეთებიც უნდა დაისაჯონ და ე.წ. პოლიტიკურ ამნისტიაზე საუბარი წარმოუდგენელია. გამოძიების დეტალებზე „ვერსიას“ დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს მთავარი საბჭოს წევრი შალვა ოგბაიძე ესაუბრა.

დამნაშავე პრეზიდენტი ლურჯი მანქანით დადის და, პატიების თხოვნის ნაცვლად, საზოგადოების გამოწვევას ცდილობს, იქნებ, ვინმემ პომიდორი ან კვერცხი ესროლოს, რათა შემდეგ, მსოფლიოს აჩვენოს, აი, ჩემზე ზნუნოა ხორციელდება, მაგრამ ასეთი ოინები ვერა უშველის — მეთოდები უკვე მოუძველდა.

— 2012 წლის 5 ნოემბერს, იმ 9-წლიანი დევნი-სა და უკანონო ქმედებების წინააღმდეგ, რაც პირადად ჩემი ოჯახისა და თანაგუნდელების მისამართით ხორციელდებოდა, პროკურატურაში საჩივარი შევიტანე და მთავარ პროკურორსაც შევხვდი... 26 მაისის განხორციელებული სპეცოპერაციის გამოძიების ფარგლებში, აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად, მე და ჩემი უმცროსი ვაჟიც დაგვიკითხეს და შემიძლია გითხრა, რომ პროკურატურა საქმის არსში ჩანვდენას დეტალურად ცდილობს... დაკითხვების სერია დღემდე გრძელდება.

— ბატონო შალვა, თქვენმა პარტიამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ხაზგასმითაა მითითებული, რომ 26 მაისის სპეცოპერაციაში დამნაშავეების ამნისტი-აზე საუბარი წარმოუდგენელია. გამოძიების პარალელურად, დღის წესრიგში მიტყუებაც დგას?

— დამნაშავეების ამნისტიაზე ნაციონალ-ური მოძრაობა ჭყლობინებს, მაგრამ მინდა, თითოეულ „ნაციონალს“ მიემართო — ჩემი ოჯახის წევრების სისხლის პატიებაზე, ჩემს მაგივრად ნუ საუბრობთ და მოვიტხოვ, 26 მაისის სპეცოპერაციის შემოქმედები სათანადოდ დაისაჯონ! მერნმუნეთ, ეს რევანში კი არა, სამართლიანობაა! ჩვენი პარტიის წევრებზე ნამდვილი ნადირობა ხორციელდებოდა!

გეკითხებით, როგორ უნდა ვაპატიოთ ნაციონალურ მოძრაობას ჩვენი თანაგუნდელის, ბესო დანელიას მეუღლის თვალწინ, არაადამიანური სისასტიკით დაპატიმრება, რა დროსაც ქალს მუცელი მოეშალა?! ბესო ტაბატაძეს თვალის ტყვიით ამოთხარეს, კომპენსაცია კი 20 ლარი მისცეს, ადამიანები გაიტაცეს და სასტიკად აწამეს! ვილაცამ შეიძლება, მართლაც, თქვას, დამნაშავეებს ვაპატიოთ, ჩვენ ხომ მიმტყუებლები უნდა ვიყოთ... დიდი ბოდიში, მაგრამ 26 მაისს

ვერ ვაპატიებთ! როცა მათ შვილებს დახოცავენ და „დუბინკებით“ გააუპატიურებენ, მშვიდად და ჩუმად ყოფნა მერე სცადონ.

— ბატონო შალვა, თქვენი ინფორმაციით, გამოძიება რა ეტაპზეა და დამნაშავეები საჯაროდ როდის დასახელდებიან. ნინო ბურჯანაძის მიერ მინოდებულმა მომენტმა 30-კაციანმა სიამ გამოძიებას ახალი დეტალები შესძინა?

— რეჟიმის მსხვერპლთა სტატუსს, „დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან ერთად, ისინიც ითხოვენ, რომლებიც დაჭერას გადაურჩნენ და აღმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ სასტიკად აწამეს. ნინო ბურჯანაძემ გამოძიებას სწორედ ამ ადამიანების სია მიანოდა. სამწუხაროდ, გამოძიებამ ჩემი უფროსი ვაჟი იმ მიზეზით ვერ დაკითხა, რომ გათავისუფლები-სთანავე, ოჯახთან ერთად, საზღვარგარეთ გაიხიზნა.

მართალია, გამოძიება ფრთხილად, მაგრამ გონივრული ეჭვი მაქვს, რომ 26 მაისის სპეცოპერაცია ვადაგასულმა მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილთან, ზურა ადვიშვილსა და იმ ერთ მუჭა ხროვასთან ერთად დადგემა, რომელიც „ქურდებივით“ იკრიბებოდა და განწყობის მიხედვით წყვეტდა, ვისთვის რა განაჩენი გამოეტანა. მათ ნეოქურდულ-პოლიტიკური საძმო შექმნეს, რომელსაც მოქმედების საკუთარი წესები ჰქონდა, „ობშიაკს“ აგროვებდნენ და მოქალაქეებისთვის „ახელს“ თანხებს რეჟიმის განმტკიცებას ახმარდნენ. აუტანელია, რომ დღეს

თუ მიზა მამარი ბიჭია, ერთი ერთზე შეიხვდეს, თუნდაც მედიის წარმომადგენლებთან ერთად, თვალეზუი ჩამხედოს და მივასუხოს: რატომ ანამა ჩემი ოჯახის წევრები? გვირდებით, პირადად მე, საქართველოს რიგითი მოქალაქე, მიხეილ სააკაშვილს საბრალდებულო სკამამდე აუცილებლად მივიყვან და ვკითხავ: რატომ ახორციელებდა რეპრესიას შალვა ოგბაიძის ოჯახის მიმართ?

— როგორ აპირებთ საბრალდებო სკამამდე მიხეილ სააკაშვილის მიყვანას?

— რა თქმა უნდა, სამართლებრივი გზით. როცა სააკაშვილს ყველა იმუნტეტი მოეხსნება, მექნება უფლება, მისი საბრალდებო სკამამდე მიყვანა მოვიტხოვო. მანამდე კი, დარწმუნებული ვარ, 26 მაისის სპეცოპერაციის გამოძიება აუცილებლად გამოავლენს იმ დამკვეთებსა და შემსრულებლებს, რომლებმაც ოპერაცია „ყულფი“ დაგვემეს და ჩაატარეს. მათი მიზანი იყო, ამ აქციიდან მთელი არავენი გამოსულიყო. მათ უნდოდათ, მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ, როგორ ამზადებდა ნინო ბურჯანაძე სახელმწიფო გადატრიალებას, ამიტომაც დატოვეს ერთადერთი გასასვლელი პარლამენტისკენ, რათა მომნამდვილო გაზისგან თავდასაცავად ხალხი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შენობაში შესულიყო, მაგრამ ქვეყნის მოდელირებული გადატრიალება არ გამოუვიდათ! მჯერა, სიმართლემდე აუცილებლად მივალთ და ეჭვიც არ მეპარება, რომ შემსრულებლები შემკვეთებს აუცილებლად დასახელდებენ. დარწმუნებული ვარ, საზოგადოებისთვის ყველა დეტალი ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება.

— გამოძიების სწრაფად დასრულების იმედი იმ ფონზე გაქვთ, როცა სხვა გახმაურებული საქმეების — ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გამოძიება ჩაინდრება?

— თითოეულ ჩვენგანს უნდა, ყველაფერი ცნობილი დღესვე გახდეს, მით უმეტეს, რომ დამნაშავეები, შემკვეთები და შემსრულებლებიც ხელისუფლებზე ჩანან, მაგრამ პირადად ჩემს სიფიცხესა და მოუთმენლობას არჩილ კბილაშვილის სიდიხვე ანეიტრალებს. იგი, ჩემგან განსხვავებით, ნელი სიჩქარის პრინციპს ირჩევს და თითოეული დეტალისადმი სკრუპულოზური მიდგომით გამოირჩევა. ეს კი, საბოლოოდ, ეფექტურ შედეგს მოიტანს და გამოძიება სწორედ ისე დასრულდება, რომ დამნაშავეთა განაჩენი ადამიანებს დაჭრილ სულზე სალბუნად დაედება.

როგორ უნდა გაუქმდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროცესები

ცხადია, ფაქტობრივად, ახალი ინსტიტუტის - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ, როგორც საზოგადოებას ისე ჟურნალისტებს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნიათ. მედიასაშუალებების წარმომადგენლებს არაერთი საინტერესო პროცესის გაშუქება მოუწევს და ალბათ, საინტერესოა, კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების გაშუქებისას რა გარკვეულ აკრძალვებს აწესებს, რომელთა ცოდნაც ჟურნალისტებისთვის სავალდებულოა.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესის აღსანიშნავად გამოიყენება საერთაშორისო ტერმინი "ვორ დირე", რაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევას ნიშნავს. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების შერჩევა ხდება სასამართლო დარბაზში. ჟურნალისტებს უფლება აქვთ დაესწონ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესს და განახორციელონ მისი მონიტორინგი. რაც, საქართველოში 2011-2012 წლებში ჩატარებული სამი პროცესისას არ მომხდარა. მეტიც, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი გაასაიდუმლოვეს და, შესაბამისად, მას ჟურნალისტები არ დასწრებია.

საქმის სასამართლო პროცესზე განხილვისას ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირებთან ურთიერთობა; განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავბრუსხვევა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა, რისი გაუცემლობის შესახებაც ის ფიცს დებს.

კანონით ნაფიც მსაჯულთათვის დაწესებული აკრძალვები, ეხება მედიის წარმომადგენლებსაც. საქმის განხილვის პროცესში ნაფიცი მსაჯულისგან ინტერვიუს აღება, მისგან კომენტარის გაკეთება ან აზრის გამოთქმა მიმდინარე საქმის დეტალების შესახებ აკრძალულია, რადგან, ნაფიც მსაჯულს ეკრძალება განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა ნებისმიერ პირთან, მათ შორის ჟურნალისტთან ურთიერთობა და აზრის გამოთქმა ან საქმის დეტალებზე საუბარი.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, "ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ, თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებული ნიშანი ან გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან".

ეს აკრძალვა მედიასაც ეხება, რადგან მედიით შეიძლება მსაჯულებს საქმის ირგვლივ მიწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ განაწყობს ბრალდების, ან დაცვის მხარის სასარგებლოდ. შესაძლებელია, ასევე მიწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც საქმის განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი.

უმჯობესია ჟურნალისტმა არ გამოაქვეყნოს პროცესის გარეთ მოპოვებული ინფორმაცია. ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია იყოს ბრალდებულის ნასამართლობა, წინასწარი გამოძიებისას ბრალის აღიარება, დაუშვებლად ცნობილი სავალდებულო



ბო მოქმედებების შედეგები და ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც პროცესზე ვერ მოისმენს ნაფიცი მსაჯული, რადგან მედიის საშუალებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება იმ საქმის ირგვლივ, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე განხილდება, რაც ასევე ზეგავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულებზე, რომლებმაც ბრალდებულს სამართლიანი და მიუკერძოებელი ვერდიქტი უნდა გამოუტანონ.

თუმცა, ჟურნალისტს უფლება აქვს შეზღუდვების გარეშე დაესწროს პროცესს და შეუზღუდავად გააშუქოს სასამართლო სხდომაზე მიმდინარე მოვლენები.

არსებული კანონმდებლობით, თუ მას მედიით ინტენსიური გაშუქების გამო ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა, საქმის განხილველი სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში.

თუ დანაშაულის სიმძიმე ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

აქვე აღსანიშნავია, რომ სულ ცოტა ხნის წინ, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების მიხედვით, აქამდე დახურული სასამართლო პროცესები გასაჯაროვდა, რის საფუძველზეც, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სასამართლოების კამერებით აღჭურვისთვის 3

550 000 ლარი გამოიყო და ეტაპობრივად მოხდება ყველა სასამართლოს აღჭურვა კამერებით.

საერთაშორისო პრაქტიკა

სასამართლო პროცესზე ზემოქმედების მექანიზმები განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როდესაც იხილავდა გახმაურებულ საქმეს - შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ.

1954 წელს დააკავეს ცნობილი ექიმი სემ შეპარდი თავისი ფეხმძიმე ცოლის - მერილინის მკვლელობის გამო. შეპარდი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა მისი ჩადენილი არ იყო. საქმის მიმდინარეობას ფართოდ აშუქებდა პრესა და ტელევიზია. კლივლენდის გაზეთებში ყოველდღე იწერებოდა ამ შემთხვევის შესახებ. მედიის განწყობა შეპარდის მიმართ აშკარად ნეგატიური იყო, რაც თავისთავად აისახა კიდევ მსაჯულთა ვერდიქტზე. სხდომის თავმჯდომარემ ვერ შეძლო დაეცვა მსაჯულთა მედიის ზეგავლენისაგან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი

სასამართლო დაეთანხმა ბრალდებულის მტკიცებას პროცესის სამართლიანობის დარღვევის შესახებ და დაადგინა მისი ხელმოწერა დასამართლება, რის შემდეგაც მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა.

თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც შეიძლება გამოიყენებულ იქნეს მედიის ზეგავლენისაგან სასამართლო პროცესის დასაცავად. ასეთ მექანიზმებად სასამართლომ ჩათვალა: 1) საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას; 2) საქმის განხილვის შეჩერება; 3) ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის საქმის დეტალების გახმაურების აკრძალვა - ე.წ. **No Comment-is** წესი; 4) პოტენციური მსაჯულის წინასწარი დაკითხვა მოსამართლის ან მხარის მიერ იმის გამოსავლენად, არის თუ არა ის კვალიფიცირებული ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრუ-

ლებლად - ე.წ. **voire dire**; 5) მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისადმი; 6) ნაფიც მსაჯულთა ჩაკეტვა, რაც გულისხმობს პროცესის მსვლელობის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა იზოლაციას საზოგადოებისაგან. სასამართლოს შენობის გარეთ ეს ხდება სასტუმროში, სადაც მათ ამარაგებენ საკვებით.

აღნიშნულ პროცედურებს იყენებენ საერთო სამართლის სხვა ქვეყნებიც, თუმცა ყველგან - არა.

მაგალითისათვის საქმის განხილვის სხვაგან გადატანა ეფექტურია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ. მედიის ზემოქმედების გასაწივრებად ასევე გამოიყენება მოსამართლისათვის საქმის გადაცემა ერთპიროვნული განხილვისათვის. მაგალითისათვის ასეთი მექანიზმი გამოიყენება კანადაში, თუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები შეთანხმდებიან ამაზე. თუმცა, აღნიშნული მექანიზმი ვერ იმოქმედებს ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონი ამა თუ იმ ქვეყნებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სავალდებულო განსჯადობას ითვალისწინებს - ასეთია ავსტრალია და ახალი ზელანდია.

მედიაზე ზემოქმედების მექანიზმები ასევე განისაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1976 წელს განხილული საქმე - ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა ერვინ ჩარლზ სიმატსის მიერ ჰენრი კელისა და მისი ოჯახის ექვსი წევრის, მათ შორის - ბავშვების, მკვლელობას. იმისათვის, რომ სასამართლოზე არ

გავრცელებულიყო პრესის მანერა ზეგავლენა, მოსამართლემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალა ბრალდებულის მიერ პოლიციისათვის მიცემული ან სხვაგვარად გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნება, ასევე - იმ მტკიცებულებათა გაშუქება, რომლებიც წარდგენილი იყო საქმის წინასწარი მოსმენისას.

აღნიშნული ბრძანება გააუქმა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას." სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე უკიდურეს საშუალებად - მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა, ტრადიციული მექანიზმები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მედიას შეეძლო თავისუფლად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ინგლისში 1981 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობას ეხება, მედიას შესაძლოა, აეკრძალოს და მის წინააღმდეგ აღძვრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ იგი გამოაქვეყნებს საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენ მასალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის შემტანმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის არსებითი საფრთხე.

შოტლანდიაში ამ კანონის მოქმედება კიდევ უფრო მკაცრია, ვინაიდან სასამართლოები არსებით საფრთხეს მიიჩნევენ, როგორც მინიმალურზე მეტ საფრთხეს. ამის გამო პრესა მეტწილად სიფრთხილეს იჩენს ნაფიც მსაჯულთა პროცესის გაშუქებისას. პროცესის სამართლიანობიდან გამომდინარე, მედიამ აკრძალვების დაწესების მექანიზმებს ასევე იყენებენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.



„პრეზიდენტი, რომელმაც აეროპორტამდე მანქანა თავად მართა და მეუღლე, ვინც დაცვის მაგივრობას უწევდა“



ბრიტანული გამოცემა The Independent აქვეყნებს შონ ვოკერის სტატიას საქართველოს პრეზიდენტზე სათაურით: „პრეზიდენტი, რომელმაც აეროპორტამდე მანქანა თავად მართა და მეუღლე, ვინც დაცვის მაგივრობას უწევდა“.

როგორც ავტორი წერს, ქართველი ლიდერი მის ფუფუნებაზე ქილიკის პროტესტის ნიშნად, თავად გაუდგა გზას დაცვის გარეშე, რომელსაც ვერ ენდობა.

„არნივისთვალეზიან ქართველებს, რომელთაც თბილისის გზაზე კვირის დასაწყისში საცობში გაჩერებული პატარა ელექტრომობილი „ნისანი“ შენიშნეს, ეპატიებათ შენელებული რეაქცია, თუმცა მისი მძღოლი ქალაქში გასვლას უფრო შეჯავშნული, შავმიწისფერ ლიმუზინითაა მიჩვეული, ვიდრე — პატარა ურბანული ტიპის „ჰენდსონის“ საჭესთან მოხრილად ჯდომას. პოლიტიკური უპირატესობის დასამტკიცებლად, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავად მართავდა მანქანას, რომელიც როგორც თვითონ აცხადებს, მისივე პირადი თანხითაა შეძენილი. იგი ამ მანქანით მივიდა თბილისის აეროპორტში, საიდანაც

მეზობელ აზერბაიჯანში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა“, — ნათქვამია სტატიისში.

როგორც ავტორი წერს, საქართველო პოლიტიკურ გაურკვევლობაშია მას შემდეგ, რაც სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გასული წლის შემოდგომაზე ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა ექსცენტრული მილიარდერის, ბიძინა ივანიშვილის კოალიციასთან.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი ოქტომბრამდე რჩება პრეზიდენტად და საკონსტიტუციო უფლებამოსილებას ინარჩუნებს, ივანიშვილის გუნდმა მას გადადგომისა და ძალაუფლების დათმობისკენ მოუწოდა.

„ცოტა ხნის წინ, პრეზიდენტს პარლამენტში საჯარო მიმართვით გამოსვლის ნება არ დართეს. მოგვიანებით, როცა ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეეცადა სიტყვით გამოსვლას, ამას შენობის გარეთ გამართული ხელჩართული ბრძოლა უძღვოდა. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებდა დაძაბულობის გაღვივებასა და არაკონსტრუქციულ საქციელში. ბატონმა სააკაშვილმა, რომელიც



როგორც პრეზიდენტი, სარეკლამო ტრიუკების მოყვარული იყო, როგორც ჩანს, „ნისანი“ მისი სანახაობრივი ცხოვრების სტილის კრიტიკისგან თავდასაცავად გამოიყენა. ახალმა მთავრობამ იგი მიუღებელ მფლანგველობაში დააბრუნა — თბილისის ცენტრში აგებული სასახლეში ცხოვრებასა და ორი პრივატული ვერტმფრენის ყოლაში, რომელიც მან ოფიციალური ვიზიტებისთვის შეიძინა. ერთი ჩამოერთვა“, — წერს შონ ვოკერი.


სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა Youtube-ზე ატვირთა ვიდეო, სადაც ნაჩვენებია, როგორ სხდებიან სააკაშვილი და მისი მეუღლე მანქანაში, სანამ თბილისის ქუჩებში დაცვის თანხლებას გარეშე გავლენ და აეროპორტისკენ მიემართებიან. შონ ვოკერი წერს, რომ მანამდე მიხეილ სააკაშვილი შეჯავშნული „მერსედესით“ გადაადგილდებოდა და მას თანხლებას შეიარაღებული დაცვის სამსახურის რამდენიმე ჯიპი უწევდა.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ ვიდეოში ნაჩვენებია, როგორ მოყვება პრეზიდენტის მანქანა საცობში და როგორი მოთმინებით იყო გაჩერებული შუქნიშნის ნითელ შუქზე.

„ბატონი სააკაშვილი, რომელიც 2005 წელს თავდასხმის მცდელობის ობიექტი იყო, აცხადებს, რომ ახლა დაცვის გარეშე გადაადგილდება და ამბობს, თუ რამე მოხდება, მას მეუღლე იცავს. მისივე განცხადებით, უკანასკნელი თვე დაცვის გარეშე გაატარა, რამდენადაც არ შეუძლია, ენდოს დაცვის სამსახურს მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა მის ხელმძღვანელად თავისივე დაცვის წევრი დანიშნა“, — ნათქვამია The Independent-ში გამოქვეყნებულ სტატიისში.

„ინტერპრესნიუსი“

„რუსეთი საქართველოს მოქალაქეებისთვის საკითხს რეაქციის უმსუბუქესს საკითხს განიხილავს“



რუსული მხარე საქართველოს მოქალაქეებისთვის საკითხს რეაქციის უმსუბუქესს განიხილავს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში, ზურაბ აბაშიძემ პრესაში, გრიგორი კარასინთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე საქართველოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ახალ სფეროებად მეცნიერება და ჯანდაცვა მოინიშნა. შეხვედრაზე მხარეებმა საქმიან და კონსტრუქციულ ვითარებაში განიხილეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ის სფეროები, რომლებზეც პირველ შეხვედრაზე იმსჯელეს.

აბაშიძის განცხადებით, სავაჭრო ურთიერთობების განხრით გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები, რამაც ხელი უწდა შეუწყოს ქართული ექსპორტის განახლებას რუსულ ბაზარზე. პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა სატრანსპორტო კავშირების აღდგენის მიზნით, კერძოდ, რეგულარული საავიაციო რეისების, ასევე, სატვირთო საავტომობილო მიმოსვლის განახლების თვალსაზრისით.

„რუსეთის მხარე, ამ ეტაპზე, განიხილავს საკითხს არსებული საავიაციო რეისების შემსუბუქების თაობაზე. ორმხრივი დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობის ახალ სფეროებად მოინიშნა მეცნიერება და ჯანდაცვა. შეხვედრის მსვლელობისას ხაზგასმით აღინიშნა უწინააღმდეგარე საერთაშორისო დისკუსიების მიმდინარე ელბა და მისი შემდგომი გაგრძელების აუცილებლობა საერთაშორისოდ შეთანხმებულ ფორმატში“.

აბაშიძის ინფორმაციით, რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცნარმომადგენლის მორიგი შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან, დაახლოებით, ორი თვის შემდეგ გაიმართება.

„ინტერპრესნიუსი“

„ფორ.გე“

ეკონომიკა



ხელისუფლება კერძო მევახშეებს შეზღუდვას აწესებს

დაახლოებით 60%, კერძო მევახშეების ხელში გადავიდა, 40% — ბანკებისა.

ამჟამად ათიათასობით მოვალე საკუთრების დაკარგვის საფრთხის წინაშეა. საფინანსო სტრუქტურები ხელს კერძო მევახშეებისკენ იმეგრენ, თითქოს თავად უმანკო კრავები არიან. ყველას კარგად ახსოვს, როგორი სისწრაფით გაიზარდა შარშან უძრავი ქონების ტრანზაქციების რაოდენობა და ეს სწორედ ვალში ჩამორთმეული ბიზნესის ხარჯზე მოხდა. ამ პროცესში კი ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ.

2008-2012 წლებში ბანკების მიერ კლიენტებისთვის ჩამორთმეული ქონების რაოდენობა 37-ჯერ გაიზარდა; 2007-2011 წლებში დარეგისტრირდა 393 438 ბინის იპოთეკით დატვირთვის ტრანზაქცია (2012 წლისთვის მარტო თბილისში სულ 339 106 ბინა რეგისტრირებული). დღეისთვის, აღსრულების ეროვნული ბიუროს მოვალეთა რეესტრში 74 ათასი ოჯახი ირიცხება, რომელიც ქონების დაკარგვასა და გამოსახლებას ელოდება.

თუმცა ამჯერად, მიზანში კერძო მევახშეები არიან ამოღებულნი. პრემიერ-მინისტრისა და ბიზნესმენების დახურულ შეხვედრაზე მევახშეებისა და ფინანსური საქმიანობით დაკავებული კომპანიების გაკონტროლების საკითხი დაისვა. საბანკო სექტორს მიაჩნია, რომ ამ სფეროს დარეგულირება სჭირდება. ამ ეტაპზე, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი „ეროვნული ბანკის შესახებ“ და „მიკროსაკრედიტო ორგანიზაციების“ შესახებ კანონებში ცვლილებებზე მსჯელობს.

მიკროსაფინანსო კომპანია „რიკო კრედიტის“ ხელმძღვანელი ლაშა ნიკოლაიშვილი მიკროსაფინანსო სფეროში რეგულაციების შემოღებას დადებითად აფასებს.

კერძო მევახშეები მიზანში ამოიღეს — პრობლემურ სესხებზე სამთავრობო გადანაცვებით უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე აცხადებს, რომ ხელისუფლებას ვალში წაღებული სახლების სტატუსი უკვე აქვს. დიმიტრი ქუმისიშვილის თქმით, ციფრები კომპიუტერი ბანკების შემთხვევაში შემაფოთებელი არაა, თუმცა შემაფოთებელია ე.წ. მევახშეების ინსტიტუტის სტატუსი.

ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი და ეკონომიკის სამინისტრო აღნიშნულ საკითხზე აქტიურად მუშაობენ და გადანაცვებით 3-4 დღეში საჯარო იქნება. ამ ეტაპზე, ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ წარმთეული ქონების დიდი ნაწილი კერძო მევახშეებზე მოდის, კომერციული ბანკების შემთხვევაში კი, მონაცემები საგანგაშო არ არის. ჩამორთმეული ქონებიდან

რა შეიძლება რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას დაბრუნებით და როგორია ბასო ზანგურის თვალით დანახული ახალი პოლიტიკური რეალობა



რას ნანობს, ვის მიაყენა ბიანი და რაფომ დაინყო ლექსების წერა ახდგაბრდა მსახიობმა

facebook NEWS



სათუნა სოფარიანი

ბატონო ბიანი! გახდით საქართველოს პრეზიდენტი! მე იმ მოქალაქეთა რიგს მივყავართ, ვინც ქვეყნის საპარლამენტო მოწყობას უჭერს მხარს და, სიმართლე გითხრათ, ჩემს პოზიციასაც საკმაოდ მაყარად და არგუმენტირებულად ვიდექი... დიას, ვიდექი! ახლა ასე აღარ ვფიქრობ!

გახდით საქართველოს პრეზიდენტი! არაა საჭირო ეს გაუთავებელი დებატები კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე... არაა საჭირო საუბრები ცვლილების გატანისთვის საჭირო ხმების მოგროვებაზე. სირცხვილია!.. ნუ დარჩებით „დანიშნულ“ პრემიერ-მინისტრად!.. გადადით კონსტიტუციის იმ უხლები ამოქმედების ვადებზე, რომელიც 2013 წლის ოქტომბერში შედის ძალაში და იპრეზიდენტთა დღეს არსებული კონსტიტუციის ფარგლებში!

...და მერე, 4 ან 5 წლის შემდეგ... ნადით! ნადით ისე, როგორც მიდიან განვითარებული და მართლა დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტები — მიტინგების, სროლების, დაჭერების, დარბევების გარეშე... ნადით ვალმოხდილი... იქნებ, თქვენ მაინც შეძლოთ, დარჩეთ ამ ქვეყნის ისტორიაში პრეზიდენტად, რომელსაც საკუთარი ხალხი არ დაუპირისპირდა...

იქნებ, გეცადათ?!... იქნებ, გამოგვივიდეს?!... გახდით საქართველოს პრეზიდენტი!

facebook NEWS



ნანა გაბუა

ვერონიკა ქობლას დიპლომი (პურის ცხობის დარგში), ალბათ, ქვას ხეთქავს, ქვას!

facebook NEWS



ირმა სარძილაძე

გაგივიანთ, ხალხო? — ახალციხის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი 2007 წლამდე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ის) მოსამხარეთლოს სამმართველოს ხელმძღვანელობდა. დღეს უკვე „ქართულის“ წევრია და სწორედ ამის წყალობით მოხვდა გამგებლის სკამზე.

დღეს ყოფილ გამგებელს, მართლაც, წესიერად ადამიანს, მიუხედავად ამ თანამდებობაზე ყოფნისა, დაკითხვებზე დაატარებენ და კუდ-ის მოსამხარეთლოს ხელმძღვანელთან ერთი კითხვაც კი არ აქვთ. არათუ კითხვა, დააჯილდოვეს კიდევ და გამგებლობა უბოძეს! მართლა ვერაფერი გავიგე!

facebook NEWS



თაქომ საკანდელიანი

საკანდელიანი გვანან-ყენებულმა ტაქსისტმა საუბარი (ის ლაპარაკობდა, მე ვუსმენდი) გამიბა პოლიტიკაზე. სანამ დანიშნულების ადგილზე მივიდოდით, გამაცნო რუსეთის საიდუმლო გეგმა, რომელიც სულ რამდენიმე კაცმა იცის, მან კი შემთხვევით გაიგო ძალიან სარწმუნო წყაროსგან და ამერიკა ვერალოში ამხილა. დამედიდობებისას „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკის კრიტიკა რიტორიკული შეკითხვით დასრულდა: „ეს რა ცხოვრება იყო? — 22-23 წლის ბიჭები ბირუხაზე ვერ გამოდიოდნენ და ლუდს ვერ სვავდნენ?!“

ნათია ვასაძე

555-98-61-65
საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეცვლილი პოლიტიკური სიტუაცია კულტურის სფეროზეც აისახა. ამ მხრივ კი, ყველაზე მნიშვნელოვანი რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრში დაბრუნებაა — დიდი მასტრო, რომელიც სამხატვრო ხელმძღვანელობიდან „ნაციონალებმა“, როგორც თავის დროზე ითქვა, პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს, მშობლიურ თეატრში ულტიმატუმით დაბრუნდა და ერთპიროვნული მმართველობა მოითხოვა, რაც თეატრის ან უკვე ყოფილი მმართველმა, ზაალ ჩიქოვამ პოლიტიკურ ზენოლად მონათლა და განაცხადა, კულტურის სამინისტროდან პირდაპირი დირექტივა მოვიდა, რომ ასპარეზი რობერტ სტურუასთვის დამეთმო. მოკლედ, რუსთაველის თეატრში განხორციელებულ პოსტსაარჩევნო ცვლილებებს არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა, თუმცა საზოგადოების დიდმა ნაწილმა სტურუას დაბრუნება სამართლიანობის აღდგენად შეაფასა... რობერტ სტურუას თეატრიდან გაშვებასა და იმხანად ქვეყანაში შექმნილ ვითარებას რუსთაველის თეატრის მსახიობი ბესო ზანგური აპროტესტებდა... რა შეიცვალა არჩევნების შემდეგ და როგორია თეატრიდან დანახული ახალი პოლიტიკური რეალობა?
— „ვერსია“ ბესო ზანგურის რუსთაველის თეატრის საგრიმორში ესაუბრა:

— რობერტ სტურუას ნახვის შემდეგ, თეატრი თეატრს აღარ ჰგავდა და საბანკეტო დარბაზად იყო გადაქცეული — იმართებოდა ბანკეტები, ქორწილები, „ცეკვავენ ვარსკვლავები“, „ნიჭიერი“ თუ „უნიჭოები“...

ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ თეატრი პოლიტიზირებული ვახდა და ამას ხელი სწორედ იმ ადამიანებმა შეუწყვეს, რომლებიც ადრე ბატონ რობერტზე ამბობდნენ, თეატრში თავისი პოლიტიკის გამტარებელიაო. თეატრმა შემოქმედებითი ცხოვრება შეწყვიტა, იბლოკებდნენ მსახიობები, პირადად მე, ორი წელია, არაფერი გამიკეთებია. არ ვამბობ, რომ სულ დაკავებული უნდა ვიყო, მაგრამ კონტრაქტში პირდაპირ წერია, რომ თეატრი ვალდებულია, ჩემი კატეგორიის მსახიობი, სეზონის განმავლობაში, ერთ სპექტაკლში მაინც დააკავოს. ტექნიკურ პერსონალს მუშაობა მონურ ყოფაში უწევდა და ნორმალურად ხელფასსაც არ უხდებდნენ.

— ბესო, რობერტ სტურუას დაბრუნების შემდეგ, თეატრში რა შეიცვალა?

— პირველ რიგში, სამართლიანობა აღდგა. მაღლობა ღმერთს, ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო მასშტაბით საბოლოოდ არ შერცხვა და ბატონი რობერტი რუსთაველის თეატრში სიცოცხლეშივე დაბრუნეს. მისი დაბრუნების შემდეგ, ისევ დაინყო შემოქმედებითი პროცესი — „ჩაეშვა“ სპექტაკლები და შემოქმედებითი ასპარეზი იმ მსახიობებსაც მიეცა, რომლებიც აქამდე პოლიტიკური ნიშნით იბლოკებდნენ. დაგვიმია გასტროლები კიევსა და მოსკოვში, რაც აქამდე სანატრელი იყო. აღდგა ძველი სპექტაკლები, მათ შორის, ისეთები, რომლებიც სააკაშვილის მთავრობას არ აწყობდა.

— იმის თქმა გინდათ, რომ თეატრის ყოფილი მმართველი დირექტივებს „ნაციონალებისგან“ იღებდა?

— ამის დასამტკიცებლად ერთი მაგალითიც საკმარისია — სპექტაკლი „ჯარისკაცი, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“ რეპერტუარიდან სწორედ ზაალ ჩიქოვას მმართველობისას მოიხსნა. სხვათა შორის, ეს სპექტაკლი უნდა აღდგეს. რაც შეეხება ჩიქოვას მხრიდან პოლიტიკურ ზენოლზე საუბარს, ეს სრული აბსურდია.

— რობერტ სტურუამ განაცხადა, თეატრში რომ დაბრუნდები, დასს დავში და დირექტურას დავამყარებო.

— საზოგადოების ნაწილი რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას რევანშისტულად დაბრუნებას, მართლაც, ელოდა, თუმცა ასე არ მოხდა, რადგან ბატონი რობერტი კეთილშობილი ადამიანია და ადამიანების გვერდზე ასე ადვილად განწევა არ შეუძლია. თეატრიდან ისინიც კი არ გაუშვია, ვინც თავის დროზე, უღალატა და მის სანინაღმდეგო საბუთს ხელი მოაწერა...

— ბესო, რას ფიქრობ ახალ კანონპროექტზე, რომელიც თეატრში მმართველის პოსტის გაუქმებასა და სამხატვრო ხელმძღვანელის ფუნქციების გაზრდას ითვალისწინებს, ეს ხელს თეატრში ერთპიროვნულ მმართველობას ხომ არ შეუწყობს?


— ამ თემაზე კომპეტენტური არ ვარ, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ თეატრში პირველი პირი შემოქმედებითი ნაწილი, ანუ სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს.

თეატრი საათია, რომელსაც მუშაობისთვის იდეალურად აწყობილი მექანიზმი სჭირდება. სააკაშვილის რეჟიმის დროს კი ეს მექანიზმი მოიშალა. იმ თეატრში, სადაც რობერტ სტურუა მმართველი, როგორ შეიძლება, სამხატვრო ხელმძღვანელად სხვა მოიაზრებოდეს? კი ბატონო, თუ ვინმე მოვა და ისეთი დონის სპექტაკლებს დადგამს, როგორიც „კავკასიური ცარცის წრე“, „ყვარყვარე“ თუ „მეფე ლირია“, იქნებ, რობერტ სტურუამ თვითონვე უთხრას, აი, შენ თეატრი და მე ვავედიო.

— ცოტა ხნის წინ, რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე შენი და პაატა გულიაშვილის ერთობლივი პოეზიის საღამო გაიმართა. ლექსებს დიდი ხანია, წერ?

პერსონალი

ნოდარ ხადურმა ლევილი პარტიველთა გააუფლები მოინახულა



საფრანგეთში სამუშაო ვიზიტის დასასრულს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ლევილის მამული მოინახულა, სადაც ქართველთა სასაფლაოზე საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ხსოვნას პატივი მიაგო.

„მე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრს, საფრანგეთში ვიზიტის დროს არ შემიძლო, პატივი არ მიმეგო საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ხსოვნისთვის. იგი გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე. სწორედ კონსტანტინე კანდელაკი ქართული ფული ფუძემდებელი. იგი მთავრობის სხვა წევრების მსგავსად, სიკვდილის ბოლომდე ოცნებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაზე“, — განაცხადა ხადურმა.

კონსტანტინე კანდელაკი პოლიტიკურ ემიგრაციაშიც აქტიურ პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა. იყო ეკონომიკის თეორეტიკოსი, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები, რომლებიც როგორც საქართველოს ეკონომიკას, ასევე გლობალურ თემებს ეძღვნება. გარდაიცვალა 1958 წელს შვეიცარიაში, საიდანაც პარიზში გადაასვენეს და ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალეს. „პირველი“



ჰოროსკოპი 4 მარტი

- ვერი** — დღეს შეიძლება შესვდეთ ადამიანის, რომელიც ბევრ პრიბლემის მოკავშირეა, დროის და ფულის მინამდლური ხარჯით, თუცა არ არის გამოარტყული, ეს ხანდა ხანდა, უბრალოდ, ნაკაპი ან თანადობა აღმოჩნდება.
- კურო** — დღეს გარშემოაქრებთან მოთმინების გამოვლენა მოაწვევთ, ნებასიერა უთანხმოება ან წამომდგარი სიტუაცია თქვენს „აფეთქებას“ გამოიწვევს, რის გამოც, გარშემოაქრებთაც დაზარალებდნენ.
- ტყუპნი** — ტყუპებისთვის მნიშვნელოვანია, მალეშივე სხვათაგანად განწყობილ იქნებიან. შესაძლოა, არ ფიქრობთ რაიმე სერიოზულად შექმნილ, მაგრამ ისეთ ნივთს აღმოაჩენთ, რომელზეც კარგა ხანა იტყობთ.
- კირჩხიბი** — კირჩხიბებს სსამომავლა სურნარბა ელით. ურთედებთ იუჯდეთ და ეტადეთ, არ გამოაგრძელოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც თქვენს ცხოვრებაში გარკვეული ცვლილებების შეტანას შეუძლია.
- ლომი** — გულდავიწრობა, შესაძლოა, ღიბების რეპუტაცია შეუღბათ. თუ ვინმეს რამეს ზარდებთ, ჩინაშეთ, რადგან არის რისკი, რომ უბრალოდ, დაგვიწყობდნენ. არ არის გამოარტყული, ასევე, მატერიალური დაზარება.
- ქვიშვლი** — თუ დღეს მთებით დაკავდებით, აუცილებლად იპოვით იმს, რასაც ეტბდით, თუცა არ ღირს გრანდიოზული გეგმების დაწვობა ან თივის წინაში ნუმის მებან, ვარსკვლავები გბრდებან, რომ სსურველ ობიექტს გგინათბებენ.
- სასწორი** — სასწორებს ეველფრის კეობს გწადვს მოაწვევთ და ფიქრის დრო აღარ გექნებთ. ნუ შეეცდებით ეველფრის ერთად მოხერხებას. სასწორების ნწალი საწლი აღმანს გადასარეუ და მს თვალს ნუ მოაშორებთ.
- ღრინავალი** — ამ ნაშნის წარმომადგენლებს დღეს, შესაძლოა, საშარო მოსწვენი მოეკენიოთ და ეს მანამ გგბრდებდა, სანამ სიტუაციის შეცვლის ინიცაცვას არ გამოაჩენთ. არ ინერვიულოთ, ეველფერი გამოგვიპა, მაგრამ სწობს, ცვლილებების განხორციელება ზირადი ცხოვრებიდან დაიწყოთ.
- მშვიდობისანი** — დღეს ფსიქოლოგის, ადოკატის ან დამრეგებლის როლის მორგება მოაწვევთ, რადგან თქვენს ერთ-ერთ ასლიბელს მორაღული მხრდაჭერა და საქმიანი რჩევა დასჭირდება.
- თხის რქა** — ამ ნაშნის წარმომადგენლები სწორედ ასლი მადლქეენ მნიშვნელოვან უზარტქისობას კონკურენტებთან. აუცილებლად დაჭირდებათ სიფრთხილის და აკურატულობას გამოვლენა. ნუ აქტრებთ სკუთარი აწრის გამოსაცვას, შემდეგ კი თავდაჯერებულად იმოქმედეთ.
- მერწყული** — დღეს მოგქეენებთ, რომ სსუვარელი ადამიანი რადვს გამოვლენთ და ასლი გტვაცვას აქვს, სინამდელიში კი, ეს მხოლოდ თქვენი ფსტაცინის სწოვია, რომელიც სულ მალე უკვალად გტყრება.
- თევზნი** — თევზებს დღეს უფრო მეტი ურთედება ოჯახის წევრებს უნდა დაუთმოთ. შეეცადეთ, მითინ მქანადლურად გულწრფელად იყოთ. რაც უფრო გულდას იქნებით ასლიბლებთან, მით მეტად შეგობლათ გტანდეთ მითი მხრდაჭერის ოქდა.

ჯანიფარი ენისტონი გვარს იხველის?



დღე არ გავა, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავის, ჯანიფერ ენისტონის შესახებ რაიმე ჭორი არ დაინეროს მედიაში. ამჯერადაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკელების საყვარელი მსახიობი გეგმავს, ქორნილის შემდეგ, საყვარელი ადამიანის — რეუსორ ჯასტინ ტერუს გვარი აიღოს. როგორც ამბობენ, ჯანიფერს ძალიან მოსწონს, როგორ უღერს მისი შეყვარებულის გვარი. ამის თაობაზე ენისტონის მხრიდან არავითარი ინფორმაცია არ გავრცელდებულა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 41 წლის ჯასტინის და 43 წლის ჯანიფერის ქორნილი სულ მალე შედგება და რომ საპატარძლოს ამ დღისთვის კაბა უკვე დიდი ხანია გამოზადებული აქვს. ამბობენ, რომ ვარსკვლავთმეტყველის პატარა ცერემონია აქვს დაგეგმილი მხოლოდ ახლოდღების წრეში. ამ დღეს ენისტონი საკმაოდ დიდხანს, 7 წლის განმავლობაში ელოდა. 2005 წელს, ბრედ პიტთან განშორების შემდეგ, მან რამდენიმე ბოიფრენდი გამოიცვალა, მაგრამ სერიოზული ურთიერთობა მხოლოდ კოლეგასთან გამოუვიდა. გასული წლის აგვისტოში კი, ტერუს დაბადების დღეზე, ოფიციალურად დანიშნულებად აღიარეს თავი. ჯერ კიდევ 2009 წელს, საკმაოდ უსიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდა, როცა „ოსკარის“ დაჯილდოების მე-80 ცერემონიაზე პირველად შეხვდა ყოფილ მეუღლეს და მის ახალ საყვარელს — ანჯელინა ვოლის, ვის გამოც პიტმა მიატოვა. ნლევანდელ დაჯილდოებაზე კი, „ვალენტინოს“ ნითელ კაბაში გამოჩნდილი ენისტონი ცერემონიაზე ბრწყინავდა — ის მშვენიერ ფორმაშია, შესანიშნავ ხასიათზე, გვერდით საყვარელი მამაკაცი ჰყავს, რომლის მეუღლეც სულ ცოტა ხანში გახდება. თანაც ენისტონი-ტერუს წყვილი „ოსკარების“ ცერემონიის ყველაზე ღამაზე წყვილად აღიარეს.

დუბაიში ყველაზე მაღალი სასტუმრო ეახსნეს

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში JW Marriott Marquis-ის ახალი სასტუმრო გაიხსნა, რომელიც ორ 72-სართულიან ცათამბვჯენს წარმოადგენს და მისი სიმაღლე 355 მეტრს აღწევს. ერთი შეხედვით, ისინი ფინიქის პალმებს მოგვაგონებენ. სასტუმროში 1608 ნომერი, 14 რესტორანი, ბარი და კაფეა. არის ასევე სპა-სალონი აუზით და ფიტნეს-კლუბი. სასტუმრო 3 ათას სტუმარზეა გათვლილი. ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი ცათამბვჯენი მუშაობს, მეორე კი 2014 წლისთვის დასრულდება. როგორც ამბობენ, სასტუმრო, პირველ რიგში, ბიზნეს-ტურისტებზეა გათვლილი. ვარაუდობენ, რომ აქ დიდი საერთაშორისო კონფერენციები და გამოფენები ჩატარდება. ერთადგილიანი ნომრის მინიმალური ღირებულება 326 დოლარს შეადგენს. დუბაიში აშენებული ობიექტი JW Marriott Marquis-ის ბრენდით, რიგით 59-ეა. აქამდე მსოფლიოში ყველაზე მაღალი ოტელი — შენობა, რომელიც მთლიანად სასტუმროდ გამოიყენება, ასევე დუბაიში მდებარე „როზა“ იყო. ამ 71-სართულიანი შენობის სიმაღლე 333 მეტრია.



ჩინელებმა ბავშვებს ახალი გასართობი შეუქმნეს

ბევრს ახსოვს ალბათ, 90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სათამაშო, იაპონური ტამაგოჩი. მისი მეშვეობით ელექტრონული შინაური ცხოველის მოვლა-პატრონობა იყო შესაძლებელი — გამოკვება, თამაში და ხანდახან მკურნალობაც. ჩინელებმა ბავშვებმა გადამწყვიტეს, თამაში გაეცოცხლებინათ და თანამედროვე ბავშვებისთვის განახლებული ტამაგოჩი შექმნეს. სათამაშო, რომელსაც Jarpet ჰქვია, მინის ქილას წარმოადგენს. მასში 3 პროექტორია ჩამონტაჟებული და ქილის შიგნით ნებისმიერ ვირტუალურ ცხოველს ქმნის. ცხოველის ჩამოტვირთვა კი სპეციალური სერვერიდანაა შესაძლებელი. როგორც კი ბავშვს ის მოებრდებოდა, მისი შეცვლა ასევე ადვილად შეიძლება. სამგანზომილებიანი ცხოველი არა მხოლოდ რეალურად გამოიყურება, არამედ შესაბამისადაც იქცევა. თუ ქილას მიუკაკუნებთ, მწერი შეფუცხუნდება, თევზები გამჭვირვალე კედელთან მოცურავენ, პეპელა ფრთებს ააფარფატებს, ძალიან კუდის ქიცინს დაინყებს... აღსანიშნავია, რომ სათამაშომ შარშან, კონკურსზე Red dot award 2012, „კონცეპტუალური პროექტების“ კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა.

მშობლებს უსიყვარულობის გამო უჩივის

ამერიკელი მამაკაცი, 32 წლის ბერნარდ ბეი მშობლებს, სიყვარულის ნაკლებობის გამო, სასამართლოში უჩივის. ნიუ-იორკელი ახალგაზრდის განცხადებით, ის მშობლებს არ უყვართ და კომპენსაციის სახით, მათგან 200 ათას დოლარს ითხოვს. ბერნარდი დღეს უსახლკაროა და ამამოც საკუთარ დედ-მამას სდებს ბრალს. მედიასთან საუბარში მან განაცხადა, რომ სახლიდან 12 წლისა წავიდა, რადგან მინ სიყვარულს არასოდეს აგრძობინებდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფის მოთმენა უწევდა. მოგვიანებით კი, სმა დაიწყო. ბეი ამტკიცებს, რომ მისი დღევანდელი მდგომარეობა მხოლოდ მშობლების ბრალია და ბრუკლინის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, სადაც მიუთითა, რომ დედ-მამის არასაკმარისი სიყვარულის გამო, „თავს სამყაროსგან გარიყულად გრძობს“. ბერნარდის დედა აცხადებს, რომ ის და მისი მეუღლე არ აპირებენ ვაჟისთვის ასეთი დიდი ოდენობის თანხის მიცემას. ბერნარდს საკუთარი ფული არასოდეს ჰქონია, არ უმუშავია და დროა, სამსახური მოძებნოს.

ყვედაზე სსარგებლო პროდუქტი კარტოფილია

ახალი გამოკვლევის შედეგად, ბრიტანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ კარტოფილი დიდი როდენობით საკვებ ნივთიერებებს, ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს და ორგანიზმისთვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე დიეტოლოგების მიერ რეკომენდებულ ჭარხალს, ბროკოლს, ბანანს, ნიგოზსა და ავოკადოს. სპეციალისტებმა კარტოფილს ყველაზე იაფი და სასარგებლო დიეტური პროდუქტი უწოდეს და ამ ბოსტნეულის მოხმარებას დღეში ორჯერ გვირგვინს, რაც ხელს უწყობს სისხლის წნევის დარეგულირებას და წონაში მომატებას არ იწვევს. კანინანდ მოხარშული კარტოფილი ხუთჯერ მეტ უჯვრედის შეიცავს, ვიდრე საშუალო ზნანი და სამჯერ მეტ „ცე“-ვიტამინს, ვიდრე ავოკადო. ამ ბოსტნეულის რეგულარული მოხმარება ონკოლოგიური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკური საშუალებაა. გარდა ამისა, ადამიანმა შეიძლება უარი თქვას სხვადასხვა ვიტამინების კომპლექსებზე, თუკი კარტოფილი მის ყოველდღიურ რაციონში შედის — ის უზრუნველყოფს ორგანიზმს მიკროელემენტების საკმარისი რაოდენობით.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

5x5 grid puzzle with numbers 1-9.

შოკოლადის მოხმარება ნიჭიანებს დაუყვარეს



რაც უფრო მეტია ამა თუ იმ ქვეყანაში შოკოლადის მოხმარების მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე, ნობელის პრემიის მით მეტი ლაურეატი ცხოვრობს ამ ქვეყანაში...




ვაჯაკებუდი ძაღლისთვის კომპენსაცია გადაუხადეს

შვედეთის პატარა ქალაქის, ჰიორტკვარნის ხელისუფლებამ კომპენსაცია გადაუხადა ქალს, როცა გაირკვა, რომ მისი საყვარელი, ჩიხუახუას ჯიშის ორი წლის ძაღლი მთის არწივმა გაიტაცა...

დიდი მკერდი სისოცსლუს აქოკლუს

დიდი მკერდი ქალის სიცოცხლეს დაახლოებით 5 წლით ამცირებს, — აცხადებენ გერმანელი მკვლევარები. მათი განცხადებით, სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, ვისაც დიდი მკერდი აქვს, უფრო ხშირად აწუხებთ თავის, სახსრების, ზურგის ტკივილი...



ყავა სიკვდიანობას ამცირებს?



წყლის შემდეგ, ყველაზე მოხმარებადი სასმელი მთელ მსოფლიოში ყავაა, ამიტომ ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები უამრავ ადამიანს დააინტერესებს...

უალკოჰოლო ვისკიც ჩამოასხეს



ექნება თუ არა მოთხოვნა ასეთ ვისკის მომხმარებლებში, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბევრი მათგანი უალკოჰოლო ლუდსაც არ სცემს პატივს...

აეროპორტის მგზავრებს პლანშეტებს დაურიგებენ

მოსკოვის აეროპორტ „ნუკოვოში“ ყველა რეგისტრაციაგადავილ მგზავრს, რომელიც საკუთარ რეისს ელოდება, პლანშეტებს უფასოდ დაურიგებენ...





ჰოროსკოპი 5 მარტი

ირაკლი ღარიბაშვილია შსს-ს 8-შვილიან თანამშრომელს ღელის დღე მიულოცა



მინისტრის ბრძანებით, შს სამინისტროს თანამშრომლები სახელფასო დანამატებსა და ერთჯერად დახმარებებს მიიღებენ

შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 8-შვილიან თანამშრომელ შორენა თოფურისა დედის დღე პირადად მიულოცა და პერსონალური კომპიუტერით დაასაჩუქრა. შორენა თოფურისა ერთ-ერთ შვილს კი, რომელსაც უსახსრობის გამო, უმადლეს სასწავლებელში აკადემიური წელი ჰქონდა აღებული, სამინისტრო სწავლას სრულად დაუფინანსებს. ბალის საფასური აუნაზღაურდება მრავალშვილიანი ოჯახის მცირეწლოვან შვილებსაც, სრულწლოვანებს კი საშუალება მიეცემათ, შემდგომში დასაქმების პერსპექტივით, სტაჟირება შსს-ში გააიარონ.

შორენა თოფურისა სამტალო პოზიციიდან 2005 წელს გაათავისუფლეს — შეუჩერდა კაპიტანის ნოდება და დღემდე ხელშეკრულების საფუძველზე, მინიმალური ანაზღაურებით, შსს-ს აკადემიის თანამშრომელია. მინისტრის ბრძანებით, იგი შტატიანი თანამშრომელი გახდება და წარდგენილი იქნება პოლიციის ნოდების მინიჭებაზე.

გარდა ამისა, მინისტრის სახელით, დედის დღე სამინისტროს წარმომადგენლებმა მრავალშვილიანი თანამშრომლებს რეგიონებშიც მიულოცეს. საჩუქრები და ფულადი პრემიები მესტიაში მცხოვრებ 6 შვილის დედას, ნანი გამყრელიძესა და ქობულეთის რაიონის სოფელ ბუკნარში მცხოვრებ, ასევე, 6 შვილის დედას გადასცეს. ნანი გამყრელიძის ორ სტუდენტ ქალიშვილს სწავლის საფასურს შსს სრულად აუნაზღაურებს, მრავალშვილიანი დედის 29 წლის ვაჟი კი, შემდგომში დასაქმების პერსპექტივით, სტაჟირებას შსს-ში გაივლის. სამინისტროსგან საჩუქრად ნანი გამყრელიძეს პერსონალური კომპიუტერი გადაეცა.

ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით, დედის დღესთან დაკავშირებით, დასაჩუქრდა ქობულეთის რაიონის სოფელ ბუკნარში მცხოვრები მრავალშვილიანი დედა ნანული ასაბაძეც. მას ოჯახის ორი ინვალიდი შვილი — ქმრისა და შვილის სამყურანლოდ, ბანკიდან სესხი აქვს აღებული. შს მინისტრის ბრძანებით, სამინისტრომ დავალიანება სრულად აუნაზღაურა, ასევე, დაიფარა მედიკამენტების ხარჯები. ნანული აბესაძის 21 წლის ვაჟი კი, შემდგომში დასაქმების პერსპექტივით, შსს-ში სტაჟირებას გაივლის. მინისტრის ბრძანებით, ოჯახი დასაჩუქრდა პერსონალური კომპიუტერთაც.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ დღეებში ამოქმედდა შს მინისტრის ბრძანება სამინისტროს თანამშრომლებისთვის სახელფასო დანამატისა და ერთჯერადი დახმარების შესახებ, რომლის თანახმადაც, სამინისტროს მრავალშვილიანი თანამშრომელი, კერძოდ, ოთხი შვილის მშობელი ყოველთვიურად მიიღებს 200 ლარს, ხუთი შვილის მშობელი — 300-ს, ექვსი შვილის მშობელი — 400-ს, შვიდი და მეტი შვილის მშობელი კი — 500 ლარს.

ასევე, ამოქმედდა მინისტრის ბრძანება შს სამინისტროს თანამშრომლებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების შესახებ. 1000-ლარიან დახმარებას სამინისტროს თანამშრომელი ერთჯერადად მიიღებს დაქორწინების, შვილის შექმნისა და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. ყოველთვიურ დანამატსა და ერთჯერად დახმარებას შს სამინისტროს ყველა თანამშრომელი მიიღებს.

„ვერსიისიუსი“



ვერი — დღე ბევრ საინტერესო მოვლენას გზირდება. გაოცებული დარწმუნებით, იძენად ბევრი შეხვედრა, ახალი ნაცნობობა და სხვადასხვა თემზე საუბარი გელით. შეეცადეთ, არ ჩართოთ ხანგრძლივ დისკუსიებში და წყდებულად ნუ ჩაუღრმავდებით რომელიმე თემს.

კურო — კურობისთვის დღეს მთავარი სანაირისაა სქესთან ურთიერთობა იქნება. ვარსკვლავები გირჩევენ, უოკელდღიურ ფაფიფუსს და რუტინას შეეშეთ და გრძობებს მიეცეთ.

ცუტები — ცუტები დღეს უნდა მიეცინ საკუთარ გეგმებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გელით დიდი წარმატება. გათვალისწინეთ, რომ ვეკლავებია მხოლოდ თქვენს ნებასყოფას და მოქმედებებზე იქნება დამოკიდებული.

კირჩხიბი — დღეს საკმაოდ ბევრი ცდუნება გელით. შეგობრები და ნაცნობები საეჭვო დანახიებებზე დაგ-ზატავენ. შეეცადეთ თავი ხელში აიკეცოთ, მოიფიქროთ და გაანალიზოთ საკუთარი ქმედებები ან მოქმედებები საინტერესო საქმე, რომელიც ზრთავაკადულ აზრებს დაგეგმავთ.

ლომი — ლომებს დღეს უამრავი საინტერესო იდეა ეწვევათ. დადგა დრო, გამოიჩინოთ ინიციატივა და ხელმძღ-ვანულობას აქვენი საკუთარი ზრთავისიანალიზში. არ არის გამოირცხული, ასეთი ქმედებები კარაურულ წინსვლაში დაგეგმროთ.

ქვინული — ქვინული დღეს დადგა დრო, ინტენსიური მუშაობა ზრთავაკადული დასვენებით შეცვალან. კარგი იქნება, თუ წახვალთ თეატრში, ეწვევით გამოფენებს, გალერებს, შეიქმნოთ დამაზ ნივთებს, მოხდენილ ტანსაცმელს და სმაკაულს.

სასწორი — ფინანსური მდგომარეობა სასწორებს დღეს ძლიან გაანარებს. მთავარია, გააგრძელოთ საქმიანობა სწორი მიმართულებით და ტემპებით. არ არის გამოირცხული, სადამოს სეკარელმა ადამიანმა უწყველად სწორ-ზრთავით გაგაოცოთ.

ღრინაკალი — ვარსკვლავები დღეს თავბრუდამხვევ რომანტიკულ შეხვედრას წინასწარმეტყველებენ ადამიანთან, რომელიც ცოცხ სნის წინ გაიგანით. წინასწარ მოქმედეთ ამ შნიშნელოვანი მოვლენისთვის, შეეცადეთ მოწოდების სიმდლეზე იყოთ, მარამ ქედამდლობას ნუ გამოიჩინთ.

მშვილდოსანი — კარგი დღეა სერიალული საშუაობს და გაბუღული ჩანაფიქრის სისრულეში მოვლენისთვის. დღეს ტუეილის თქმ ვერ გაშეულოთ, ის მხოლოდ თქვენვე დაგაზარდებთ. გამოიჩინეთ თავშეკავებულობა და ნუ გავაუტდებთ.

თხის რქა — თქვენი ზირადი ცხოვრება განსლუბას საჭირიებს. მოუწვეთ სურზირი საყვარელ ადამიანს, გაატარეთ ერთად დაუვიწყარი სადამო. ურთიერთობის გართულება სიმ ასე ადვილია, ჰარმონიაში მოეგან კი — ძლიან შეუძ. სწორედ დღეს, ბუდი გაბუღეთ შსსს, გააშაროთ ოჯახური და სასეკარული გაგზირება.

მერწყული — კარგი იქნება, თუ მერწყულები დღეს იმავეს შეიკვლიან. გარშემოყოფები თქვენგან ასეთ გადწვეტილებას ელიან და უვეე გკარნახობენ, როგორი თვალისმომჭრული იქნებით ახალი იმაგით. შეეცადეთ ვარცხნილობას ან განახლეთ გარდერობი.

თევზები — თევზებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს აუცილებლად გამოიჩინონ დრო საყვარელ ადამიანთან შესხ-ვედრად. საყვარული ენერგია, რომელიც ახლად ჰკარობს თქვენში, ურთიერთობას ახლად სიცოცხლეს შობაბრავს.

		ღამის		დღის		პროგნოზი	
		ორშაბათი		სამშაბათი		ორშაბათი	
		სამშაბათი		ორშაბათი		სამშაბათი	
თბილისი	თველი	+5	+8	+6	+9	-2	-4
	ქუთაისი	+12	+6	-2	-4	-2	-4
	ბათუმი	+13	+7	+1	+6	+1	+6
	სოფო	+11	+7	+4	-1	+4	-1

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

დაგმუშენებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიკავრუმი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი — გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.